## შეთანხმების აქტი

ქ.თბილისი

23 ივლისი 2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „ორბი-ბეტონი" წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ ბერიძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), მხარეებს შორის 2014 წლის 11 ივლისს გაფორმებული N249 ხელშეკრულების მე-10 მუხლისა და ბიუროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის N5003366514 წერილის საფუძველზე, ეთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების 7.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

*"7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილი სტანდარტებთან და ხარისხთან შესაბამისობის დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნის მიღებიდან, მიღება-ჩაბარების აქტების (ჩამოდგმისა და ადგმის) გაფორმებიდან და სავალდებულო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში".*

2. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 - ხარჯთაღრიცხვა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| № | სამუშაოს დასახელება | განზ. ერთეული | სამუშაოს მოცულობა | სამუშაოს ღირებულება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შენობის სახურავიდან ამწით საყვავილეების ჩამოტანა (ამწის ლილვაკი არანაკლებ 15 მ-ისა) | მან/სთ | 1.25 | 240 | 300.00 |
| 2 | შენობის სახურავზე ამწით საყვავილეების ატანა (ამწის ლილვაკი არანაკლებ 15 მ-ისა) | მან/სთ | 1.25 | 240 | 300.00 |
| 3 | დამხმარე მუშა ხელი | კც/სთ | 2.5 | 40 | 100 |
| | ჯამი | | | | 700.00 |
| | ზედნადები ხარჯები საშუალო წესით შესრულებულ სამუშაოებზე | 10.00% | | | 70 |
| | ჯამი | | | | 770.00 |
| | გეგმიური დაგროვება | 7.79% | | | 60 |
| | ჯამი | | | | 830.00 |
| | დღგ | 18.00% | | | 149.688 |
| | ჯამი სულ | | | | 979.69 |

3. ხელშეკრულების 4.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4.2 მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს 2014 წლის 12 ივლისისა მოახდინოს A კორპუსის ტერასიდან მცენარეების ჩამოდგმა და განთავსება შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას, ხოლო, შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 (ორი) დღის ვადაში უზრუნველყოს მათი კვლავ ტერასაზე განთავსება. ამასთან, შემსყიდველის მითითებული მოთხოვნიდან უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2014 წლის 20 აგვისტოსი".

4. ხელშეკრულების სხვა ყველა პირობა დარჩეს უცვლელი;
5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მხარეებს შორის 2014 წლის 11 ივლისს გაფორმებული №249 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
6. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეებს შორის ორმხრივი ხელმოწერისთანავე;
7. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

„შემსყიდველი"
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
მის: ქ. თბილისი, ჯავახიშვილის გამზ. №84
ტელ: (995 32) 2 25 84 84
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE86LB0121113150235000
ს/კ 204852089

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მუმლაძე
-----------------------------

„მიმწოდებელი"
შპს „ორბი- ბეტონი"
მის: ქ. ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლება
ს.ს."თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი:TBCBGE22
ა/ა GE86TB7734036050100001
S/K 448382090

დირექტორი
მალხაზ ბერიძე
-----------------------------